საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

14/07/2025

MES 3 25 0000863518

გადაწყვეტილება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი

მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 19 მარტის №303162 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანანთლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 1.1 კომპონენტში შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და რჩევებში გადაიტანა შემდეგი სახით:

„სასურველია პროგრამის მიზნები მეტად ითვალისწინებდეს საჯარო მმართველობის სფეროს სპეციფიკას და ასახავდეს მის წვლილს საჯარო მმართველობისა და საზოგადოების განვითარებაში.“

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ბ) აკრედიტაციის საბჭომ 1.2 კომპონენტში მოცემული შემდეგი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა:

„რეკომენდებულია სწავლების შედეგები სწორედ საჯარო მმართველობის სფეროსთვის იყოს დამახასიათებელი და არ ემთხვეოდეს სხვა პროგრამების სწავლის შედეგებს.“

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

გ) აკრედიტაციის საბჭომ 1.3 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა:

„მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეკომენდებულია უზრუნველყოთ მათი შესაბამისობა საჯარო მმართველობის სფეროს სპეციფიკასთან, რათა არ ემთხვეოდეს სხვა პროგრამების შეფასების მექანიზმებს. ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია პროგრამის გადახედვისას.“

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

დ) აკრედიტაციის საბჭომ 1.4 კომპონენტში შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და რჩევებში გადაიტანა შემდეგი სახით:

რეკომენდაცია:
"რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სილაბუსები და ლიტერატურა , რათა კიდევბუფრო მკაფიოდ აისახოს საჯარო მმართველობის მიმართულება, მათ შორის:
ο გადაიხედოს სტაჟირების კომპონენტი, რათა იგი მოიცავდეს საჯარო მმართველობისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პროექტებსა და სტაჟირების შესაბამის ობიექტებს.
ο უზრუნველყავით, რომ პროგრამის ყველა კურსი და კომპონენტი შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს და ფოკუსირებული იყოს საჯარო მმართველობაზე."

რჩევა:
„სასურველია პროგრამა კიდევ უფრო გაძლიერდეს საჯარო მმართველობის შესაბამისი სასწავლო კურსით ან თემატიკით“.
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ე) აკრედიტაციის საბჭომ 1.5 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა:
„რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამის ლიტერატურა და რესურსები, რათა მასში შევიდეს საჯარო მმართველობის შესახებ მეტი სპეციფიური ტექსტი და სამეცნიერო ჟურნალი.“
აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 1.5 კომპონენტის ცვლილება.
ვ) აკრედიტაციის საბჭომ 1.5 კომპონენტში შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:
„რეკომენდებულია კურსის „მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ გადახედვა ისე, რომ მისი მოცულობა, შინაარსი და მოსალოდნელი სწავლის შედეგები უფრო მეტად შეესაბამებოდეს საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაციას.“
აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 1.5 კომპონენტის ცვლილება.
ზ) აკრედიტაციის საბჭომ 1.5 კომპონენტში შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:
„რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს „საჯარო პოლიტიკის ანალიზის" კურსი ან თემატიკა.“
აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 1.5 კომპონენტის ცვლილება.

აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია 1-ელი სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

თ) აკრედიტაციის საბჭომ 4.1 კომპონენტში შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და რჩევებში გადაიტანა შემდეგი სახით:
„სასურველია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან მდგრადობას“.
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
აღნიშნულმა გამოიწვია არ გამოწვია მე-4 სტანდარტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 მარტამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის სხდომის №862325 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კურსის „მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ გადახედვა ისე, რომ მისი მოცულობა, შინაარსი და მოსალოდნელი სწავლის შედეგები უფრო მეტად შეესაბამებოდეს საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაციას;
- რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს „საჯარო პოლიტიკის ანალიზის" კურსი ან თემატიკა;
- რეკომენდებულია კურსი „მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში" ამოღებულ იქნეს შემოთავაზებული პროგრამიდან, რადგან ის არ შეესაბამება პროგრამის მიერ მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
- რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის იმგვარი გაძლიერება, რომ იგი მკაფიოდ იყოს მიმართული საჯარო მმართველობის ამოცანებზე და დაკავშირებული - პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგებთან.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 01 ივლისიდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე